საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1710-02
17/07/2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოსთვის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-11 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის №9 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოში 2 ვაკანტურ ადგილზე;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან აკადემიურ საბჭოში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2023 წლის 18 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5) ან უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე განაცხადისა გამოგზავნით info@iliauni.edu.ge (კანდიდატი უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი) (დანართი 1);
3. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2023 წლის 24 ივლისამდე მიაწოდოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სია, სახელის, გვარის, პირადი ნომრის მითითებით;
5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2023 წლის 24 ივლისამდე მიაწოდოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა სია, სახელის, გვარის, პირადი ნომრის მითითებით;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტიდან აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2023 წლის 3 აგვისტოს E 404 აუდიტორიაში 12:00 საათიან 16 :00 სათამდე.

7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის ყველა აკადემიური პერსონალისათვის;

8. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის აპარატს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას, იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი